

# ელექტროლიტური დისოციაცია

გვარი-----ჯგუფი-----თარიღი-----

1. წყალში გახსნის ან გაღობის დროს ელექტროლიტების იონებად დაშლა არის:

- ა. ელექტროლიტური დისოციაცია
- ბ. ელექტროლიზი
- გ. ჰიდროლიზი
- დ. მოლიზაცია

2. დისოციაციის ხარისხი გვიჩვენებს:

- ა. დისოცირებული მოლეკულების რიცხვს
- ბ. არადისოცირებული მოლეკულების რიცხვის შეფარდება არადისოცირებული მოლეკულების რიცხვთან
- გ. დისოცირებული მოლეკულების რიცხვის შეფარდებას გახსნილი ან გამღვალი მოლეკულების საერთო რიცხვთან
- დ. დისოცირებული მოლეკულების რიცხვის ნამრავლს გახსნილი ან გამღვალი მოლეკულების საერთო რიცხვთან

3. დისოციაციის ხარისხი არ არის დამოკიდებულია:

- ა. გახსნილი ნივთიერების ბუნებაზე
- ბ. გამხსნელის ბუნებაზე
- გ. ხსნარის ტემპერატურაზე
- დ. ხსნარის მასაზე

4. რიცხვს, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენჯერ ამცირებს მოცემული ნივთიერება ელექტრული მუხტების ურთიერთმიზიდულობას ეწოდება:

- ა. ავოგადროს მუდმივა
- ბ. დისოციაციის მუდმივა
- გ. დიელექტრიკული მუდმივა
- დ. წონასწორობის მუდმივა

5. ძლიერი ელექტროლიტებისათვის დისოციაციის მუდმივა ( $\alpha$ ):

- ა.  $\alpha > 30\%$
- ბ.  $\alpha = 30\%$
- გ.  $\alpha < 30\%$
- დ.  $3\% < \alpha < 30\%$ .

6. საშუალო ელექტროლიტებისათვის დისოციაის მუდმივა ( $\alpha$ ):

- ა.  $\alpha > 30\%$
- ბ.  $\alpha = 30\%$
- გ.  $\alpha < 30\%$
- დ.  $3\% < \alpha < 30\%$ .

7. ელექტროლიტური დისოციაციის თვალსაზრისით მჟავა ისეთი ელექტროლიტია, რომლის დისოციაციის შედეგად კატიონის სახით წარმოიქმნება:

- ა. მხოლოდ წყალბადის  $H^+$  (ჰიდროქსონიუმის  $H_3O^+$ ) დადებითი იონები.
- ბ. როგორც წყალბადის  $H^+$  (ჰიდროქსონიუმის  $H_3O^+$ ), ისე მეტალის დადებითი იონები
- გ. მხოლოდ მჟავას ნაშთის უარყოფითი იონები
- დ. მხოლოდ მეტალის დადებითი იონები

8. ელექტროლიტური დისოციაციის თვალსაზრისით ტუტეები ისეთი ელექტროლიტებია, რომელთა წყალხსნარები ანიონების სახით შეიცავს:

- ა. მხოლოდ მჟავას ნაშთის იონებს
- ბ. მხოლოდ ჰიდროქსილ-იონებს
- გ. როგორც ჰიდროქსილ-იონებს, ისე მჟავას ნაშთის იონებს
- დ. მხოლოდ მეტალის დადებით იონებს

9. სრული მარილების ელექტროლიტური დისოციაციის შედეგად ხსნარში წარმოიქმნება:

- ა. მხოლოდ მეტალის კატიონები
- ბ. მეტალის კატიონები და მჟავას ნაშთის ანიონები
- გ. მხოლოდ მჟავას ნაშთის ანიონები
- დ. როგორც წყალბადის კატიონები, ისე მეტალის კატიონები და მჟავას ნაშთის ანიონები

10. ფუბე მარილების ელექტროლიტური დისოციაციის შედეგად ხსნარში წარმოიქმნება:

- ა. მხოლოდ მეტალის კატიონები
- ბ. მეტალის კატიონები და მჟავას ნაშთის ანიონები
- გ. მეტალის კატიონები, ჰიდროქსილ-იონთა და მჟავას ნაშთის ანიონები
- დ. მხოლოდ მჟავას ნაშთის ანიონები

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
၁	၂	၃	၄	၅	၆	၇	၈	၉	၁၀

ပိတောက်မြို့နယ် ၂၀၂၀